საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ირაკლი ბონდარენკო

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ლევან ნემსაძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ კენჭისყრის

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

9 ივლისი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი - **ლევან ნემსაძე** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 91 ქულით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით განხორციელებული შეფასებების შედეგად საბჭოს 13 წევრმა მიიჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა **1185** ქულა, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის **1300 (91,15)** % შეადგენს.

მასთან ჩატარებული გასაუბრების, საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების გათვალისწინებით და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ლევან ნემსაძეს გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის წარმატებით და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი უნარები და შესაძლებლობები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ერთი კანდიდატი - ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, 2025 წლის 9 ივლისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მივიღე გადაწყვეტილება - ლევან ნემსაძე წარედგინოს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო